საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბახჩალარი

ბახჩალარი, ბაღჩალარი, სოფელი დმანისის მუნიციპალიტეტის იფნარის თემში (ქვემო ქართლის რეგიონი), მდ. გეტისწყლის (მაშავრის აუზი) სათავეში. ზ. დ. 1180 მ, დმანისიდან 22 კმ. 70 მცხ. (2014).

ბ-ში იდგა ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლი – XI ს. დიდი და კარგად ნაშენი ეკლესია, რ-ისგანაც მხოლოდ ფრაგმენტებია გადარჩენილი. კარის არქიტრავის შუაზე გაპობილ ქვაზე 1018 ამოკვეთილ წარწერაში მოხსენიებულია ეკლესიის ამშენებელი „ცოდვილი მიქელი“.

ლიტ.: მ ე ფ ი ს ა შ ვ ი ლ ი რ., კიდევ ერთხელ ბოლნისისა და დმანისის ძეგლების შესახებ, «ძეგლის მეგობარი», 1971, № 26.